საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 682 2016 წლის 22 აპრილი ქ. თბილისი

შპს „აბკ სტუდიის“ მხარდასაჭერად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, შპს „აბკ სტუდიის“ მიერ მხატვრული ფილმის - „მძევლების“ გადაღების მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ განახორციელოს შპს „აბკ სტუდიისათვის“ (ს/კ: №204395831) სათანადო დახმარების გაწევა და 9 (ცხრა) დღის ვადით, შპს „აბკ სტუდიის“ მიერ 365 (სამას სამოცდახუთი) ლარის სანაცვლოდ (მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, მიმღების ანგარიში: 200122900, სახაზინო კოდი: 302006500), დანართით განსაზღვრული რესურსებით უზრუნველყოფა და 50 (ორმოცდაათი) სამხედრო მოსამსახურით მხარდაჭერა.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს მთავრობის
2016 წლის 22 აპრილის
№ 682 განკარგულების

დანართი

1. 7,62X39 მმ ავტომატი „AKM“-50 (ორმოცდაათი) ერთეული.
2. ავტომანქანა „კამაზი“ - 2 (ორი) ერთეული.